EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის დროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

მაისი 2011 №5 (27)

დაარსდა "ევრონესტის" საპარლამენტო ასამბლეა

2009 წლის 7 მაისს, პრაღის სამიტზე მიღებული დეკლარაციის შემდეგ ევროკავშირმა ოფიციალურად აამოქმედა აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა, რომელშიც ჩართულები არიან საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, ბელარუსი და მოლდოვა. ინიციატივის მიზანია ევროკავშირსა და აღმოსავლეთის პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ახალ საფეხურზე აყვანა, რომელიც ემყარება 6 ქვეყნის ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების ინდივიდუალურ სწრაფვებსა და ამბიციებს. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის მექანიზმები ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატში ქმნის აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებისათვის ევროპულ პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში მჭიდრო ინტეგრაციის დამატებით პერსპექტივას.

2011 წლის 3 მაისს ბრიუსელში გამართულ საგანგებო სხდომაზე დაფუძნდა **ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა** (Euronest Parliamentary Assembly) – აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის საპარლამენტო განზომილება.

ასამბლეის დამფუძნებელი სხდომა ევროპარლამენტის პრეზიდენტმა იერჟი ბუზეკმა გახსნა. თავის სიტყვაში ბუზეკმა ყურადღება გაამახვილა დემოკრატიის გაძლიერების მნიშვნელობაზე. მისი თქმით, დემოკრატია ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთადერთი გზაა. **ევრონესტის** თანაპრეზიდენტმა კრისტიან ვიგენინმა აღნიშნა, რომ ევროპარლამენტის ახალი ინიციატივა არის თავისი აღმოსავლეთის სამეზობლოსადმი გზავნილი თანამშრომლობის გამყარებისკენ.

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო დამფუძნებელი აქტი, რომელსაც ევროპარლამენტთან ერთად ხელი მოაწერეს 5 ქვეყნის – საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდოვას პარლამენტთა წარმომადგენლებმა. ამასთან ერთად დამტკიცდა რეგლამენტი, შეიქმნა ორი სამუშაო ჯგუფი ბელარუსისა და სამუშაო პროცედურების შემდგომი დახვეწის საკითხებზე. ბელარუსის სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს გეგმას, რომელიც ამ ქვეყანას **ევრონესტის** წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში დაეხმარება.

საგანგებო სხდომაზე ჩამოყალიბდა ოთხი კომიტეტი: პოლიტიკურ საქმეთა, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის კომიტეტი; ეკონომიკურ საქმეთა, იურიდიული დაახლოების და ევროკავშირის პოლიტიკასთან კონვერგენციის კომიტეტი; ენერგო უსაფრთხოების კომიტეტი და განათლების, კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების კომიტეტი. თითოეული კომიტეტი შედგება 30 წევრისგან: 15 ევროპარლამენტარისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების 15 წევრისგან. ასამბლეაზე აირჩიეს ორი თანაპრეზიდენტი და 8 ვიცე პრეზიდენტი. სულ საპარლამენტო ასამბლეა 60 ევროპარლამენტარისა და აღმოსავლეთ სამეზობლო თითოეული ქვეყნის პარლამენტის 10-10 წევრისგან შედგება.

„ევრონესტის" დაარსებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ის ჯერ კიდევ 2009 წელს უნდა დაარსებულიყო, მაგრამ წევრი ქვეყნები ვერ თანხმდებოდნენ ბელარუსის მონაწილეობის საკითხზე, რაც ამ პროცესის გაჭიანურების მიზეზი გახდა.

დავით დარჩიაშვილი:

ევრონესტის მიზნებზე:

„ერთის მხრივ ეს არის კონკრეტულად აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მონაწილე ქვეყანებთან შედგომი უფრო მჭიდრო, ორმხრივი ურთიერთობების განხორციელება, რაც თვალსაწიერ მომავალში უნდა დასრულდეს ასოცირების შეთანხმებებით და თავისუფალი ვაჭრობით, უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში კი – სავიზო რეჟიმის შემდგომი ლიბერალიზაციითა და უვიზო რეჟიმამდე მისვლით.

ეს დროში გაწელილი პროცესი იქნება, თუმცა ნაბიჯები იდგმევა დღესვე.

ამავე დროს ევრონესტი მიზანად ისახავს ევროკავშირის მხარდაჭერით, პარტნიორებს შორის რეგიონალური ურთიერთობების განმტკიცებას. ასამბლეა თავისთავად იქნება ძალზე მნიშვნელოვანი ფორუმი როგორც ორმხრივი, ისე ერთობლივი რეგიონალური გადაწყვეტილებების მისაღებად, სადაც თანასწორად არიან წარმოდგენილები როგორც ევროპარლამენტარები, ასევე ყველა ამ პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელნი."

საკონტაქტო ინფორმაცია:

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

მაისის ღაიჯესტი

president.gov.ge

საქართველოს პრეზიდენტი ევროპარლამენტის პრეზიდენტს იერჟი ბუზეკს შეხვდა

19 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ევროპის პარლამენტის პრეზიდენტ იერჟი ბუზეკს უმასპინძლა. შეხვედრისას იერჟი ბუზეკმა ევროკავშირის სახელით კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა და დაგმო ის ფაქტი, რომ რუსეთის ჯარები დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე რჩებიან.

შეხვედრისას საუბარი შეეხო აგრეთვე საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს. ევროპარლამენტის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში წარმატებით დასრულდა რეფორმების პირველი ეტაპი და რწმენა გამოთქვა, რომ რეფორმათა მეორე ეტაპიც ასევე სწრაფი ტემპითა და წარმატებით განხორციელდება.

შეხვედრის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა და იერჟი ბუზეკმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

ევროკავშირი მიესალმება მლადიჩის დაპატიმრებას

ევროკავშირი მიესალმა ბოსნიელი სერბების მეთაურის, რატკო მლადიჩის, დაპატიმრებას. ევროკავშირის ქვეყნების ხელმძღვანელთა განცხადებით, მლადიჩის დაკავებით სერბეთმა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნობისათვის ხელისშემშლელი ბოლო ფაქტორი გადალახა.

ჟოზე მანუელ ბაროზოს თქმით, მლადიჩის უამრავი მსხვერპლის ოჯახი იმსახურებს სამართლიანობის აღდგენას.

მლადიჩი სერბეთის დაზვერვამ 26 მაისს დილით ერთ პატარა სოფელში დააკავა. იგი ჰააგაში ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალს გადაეცემა. მლადიჩს ბრალად ედება გენოციდის მოწყობა, ომის დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ.

ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ვალენტინ ინზკომ განაცხადა, რომ მლადიჩის დაპატიმრება ბოსნიის მტკივნეული ისტორიის "დასასრულის დასაწყისია."

ევროკავშირი მეზობლებისთვის დამატებით 1,2 მილიარდ ევროს გამოყოფს

ევროპის სამეზობლო პოლიტიკისთვის დამატებით 1.2 მილიარდი ევრო გამოიყოფა. ამას გარდა მომდევნო ორი წლის განმავლობაში აღმოსავლეთ და სამხრეთ პარტნიორებისთის (მათ შორის – საქართველოსათვის) გამოყოფილი დახმარება 7 მილიარდამდე გაიზრდება, განაცხადა ევროპის კომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ 2011 წლის 25 მაისს.

დიდი რვიანის სამიტამდე გაკეთებული განცხადებისას, ბაროსომ განაცხადა: "ეს არ არის უბრალოდ დამატებითი თანხების გაცემა. ეს არის ჩვენს მიერ აშკარად გამოხატული მხარდაჭერა მეზობელი ქვეყნების რეფორმების მიმართ. ამით გამოვხატავთ ჩვენს სურვილს, დავეხმაროთ ყველას, ვინც პოლიტიკური თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისთვის იბრძვის."

ბაროზომ აგრეთვე აღნიშნა, რომ ევროკავშირმა უფრო ცხადად უნდა გამოხატოს თავისი მხარდაჭერა პარტნიორთა დემოკრატიული ცვლელებების, სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გასაძლიერებლად."

onlineusanews123.wordpress.com

ევროკავშირი და ამერიკა: ბინ ლადენის მკვლელობა არ იყო მიზანი

ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლები იზიარებენ აშშ-ს განცხადებას, რომლის თანახმად, მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის - ბინ ლადენის სიკვდილი არ იყო განზრახ მკვლელობა და ამერიკის სამხედრო ნაწილი მზად იყო მის ტყვედ ასაყვანად. ევროკავშირის ანტიტერორიზმის კოორდინატორი მიესალმა ამერიკის სპეციალური ძალების მიერ ჩატარებულ წარმატებულ ოპერაციას და აღნიშნა, რომ ვითარების სირთულიდან გამომდინარე, შეუძლებელი გახდა ბინ ლადენის ცოცხლად შეპყრობა.

ნიუ იორკში ვიზიტისას ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მეთაურმა კეტრინ ეშტონმა მიულოცა ამერიკის მთავრობას წარმატებით ჩატარებული ოპერაცია და ყურადღება გაამახვილა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის და ევროკავშირის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ოპერაციის გამიზნულ მკვლელობად მიჩნევა ევროკავშირს დიპლომატიურ ჩიხში შეიყვანდა, ვინაიდან ევროკავშირი ყოველთვის გმობდა ასეთ ოპერაციებს,

აღსანიშნავია, რომ ბინ ლადენის მკვლელობაზე ისრაელს ევროკავშირისაგან განსხვავებული პოზიცია აქვს. ისაერლის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, შაულ მოფაზმა, განაცხადა, რომ ამერიკამ ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის ტაქტიკას მიბაძა და აღნიშნა, რომ ტერორისტების გამიზნული მკვლელობა გამართლებულია. აშშ უარყოფს ისრაელის მეთოდების გაზიარების მოსაზრებას და აცხადებს, რომ მისი მიზანი ამ შემთხვევაში ბინ ლადენის შეპყრობა იყო.

უსამა ბინ ლადენი მუსლიმური წესების დაცვით ჩრდილოეთ არაბეთის ზღვაში ჩაასვენეს.

დანიას შენგენის საზღვრებზე კონტროლის აღდგენისთვის აკრიტიკებენ

12 მაისს ბრიუსელში ევროკავშირის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე კამათის საგანი გახდა დანიის მიერ საზღვებრზე კონტროლის აღდგენის გადაწყვეტილება.

საზღვრებზე კონტროლის აღდგენა საფრანგეთისა და იტალიის პირველმა პირებმა მოითხოვეს, რათა აფრიკული ქვეყნებიდან ჩასული მიგრანტების უკან გაბრუნება შეძლონ. მათი თქმით, ეს დროებითი ღონისძიებაა, რომელიც არსებული ვითარებისათვის არის საჭირო.

ევროკომისიის პრეზიდენტის, ჟოზე მანუელ ბაროზოს, განცხადებით, საზღვარზე კონტროლის აღდგენა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრივ წესრიგს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

დანიის ხელისუფლების თანახმად, მათი გადაწყვეტილება ე.წ. "ტურისტული დანაშაულის" შესამჩნევმა ზრდამ გამოიწვია. ამასთანავე 12 მაისს გამართულ შეხვედრაზე დანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა უარყო ის ბრალდება, რომ აღნიშნულმა ღონისძიებამ შესაძლოა მუდმივი სახე მიიღოს, რაც შენგენის ხელშეკრულების უხეში დარღვევა იქნება.

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, მსგავსი ნაბიჯის გადასადგმელად დანიის მიერ დასახელებული მიზეზი არაა საკმარისი. ევროპის საშინაო საქმეების კომისრის, სესილია მალმსტრომის, ინფორმაციით, ამჟამად ევროკომისია განიხილავს დანიის გადაწვეტილების კანონიერებას.

ბრიუსელი შვედეთის მიერ საბაჟო კონტროლს დეთანხმა

გასულ კვირას დანიის მთავრობამ განაცხადა, რომ საზღვარზე კანონდარღვევათა შესამცირებლად მას შვედეთთან და გერმანიასთან სასაზღვრო კონტროლის აღდგენა სურდა. დანიის მთავრობის თანახმად, ეს გადაწყვეტილება არ განსხვავდება შვედეთის მიერ

securitydefenceagenda.org

დადგენილი წესებისგან, მაგრამ ევროკომისიის თავმჯდომარის, ჟოზე მანუელ ბაროზოს, განცხადებით, ეს ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობას და არღვევს თავისუფალი მიმოსვლის უფლებას.

გერმანიის მთავრობისგან განსხვავებით, რომელმაც დანიის მოთხოვნას „უგუნურობა“ უწოდა, შვედეთი მიესალმა აღნიშნულ ნაბიჯს.

დანიელი დიპლომატების განცხადებით, ისინი მზად არიან ევროკავშირთან ერთად იმუშაონ საკითხის იურიდიულ მხარეზე, რათა არ დაირღვეს ევროკავშირის კანონმდებლობა.

ამჟამად საკითხი ევროკავშირის მინისტრთა საბჭოშია და მას უჭერს მხარს რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის - საფრანგეთი.

ბარნიერი: რევოლუცია ინტეგრაციაში ერთადერთი პასუხია მზარდ ნაციონალიზმზე

9 მაისს ევროკავშირის შიდა ბაზრისა და მომსახურების კომისარმა, მაიკლ ბარნიერმა, ჰუმბოლტის უნივერსიტეტში გამართულ ევროპის დღისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე წამოაყენა ინიციატივა ევროსაბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტების თანამდებობის გაერთიანების შესახებ. მისი თქმით, უახლოეს ხანებში ევროკავშირის პრეზიდენტი შეითავსებს როგორც ევროსაბჭოს, ისე ევროკომისიის ხელმძღვანელობას. მან ამასთანავე აღნიშნა, რომ ამ ცვლილებას გარკვეული დრო დაჭირდება.

„უკვე 60 წელია ევროპას ვაშენებთ მისი მოქალაქეებისთვის და მათი სახელით, მაგრამ ხშირად მათ გარეშე ვმოქმედებთ,“ აღნიშნა ბარნიერმა. მხოლოდ ევროპარლამენტი ვერ შეძლებს იმ ბზარისს შევსებას, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება საზოგადოებასა და ევროკავშირს შორის. ამ პრობლემის გადაჭრის გზას ბარნიერი ევროსაბჭოსა და ევროკომისიის უფრო ღრმა ინტეგრაციაში ხედავს.

ამ ინიციატივის სისრულეში მოყვანა არ საჭიროებს ცვლილებების შეტანას ევროკავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებებში.

გამოყენებული წყაროები:

www.euractiv.com; www.euobserver.com; www.europeanvoice.com

ევრობიბლიოთეკა

ევროკავშირის თემაზე გამოცემული უახლესი ლიტერატურა

“ *Handbook on the European Union“ (Third edition)*
გამომცემელი: HVG-ORAC Publishing House Ltd
ავტორი: Zoltán Horváth
ენა: ინგლისური.

“*The European Parliament“ (7th Edition)*
გამომცემელი: John Harper
ავტორი: Richard Corbett MEP, Francis Jacobs and Michael Shackleton
ენა: ინგლისური



“ *Stalking in the Netherlands“*
გამომცემელი: John Harper
ავტორი: Martin Westlake and David Galloway
ენა: ინგლისური.

წიგნების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ:
http://eubookshop.com/1

ევროსტატისტიკა

დანიშნულების საქონლის ფასები და ა. შ.

2009 წელს ევროკავშირში მწერალთა და ხელოვანთა (მათ შორის მხატვრების, მოქანდაკეების, მუსიკოსების, მოცეკვავეების, მსახიობების და სხვა) რიცხვი 1.5 მილიონს შეადგენდა, რაც დასაქმებულთა საერთო რიცხვის 0.7%. მწერალთა და ხელოვანთა ყველაზე დიდი რაოდენობა იყო გერმანიაში (330 000), დიდ ბრიტანეთში (200 000), საფრანგეთში (180 000), იტალიაში (120 000), ჰოლანდიასა (110 000) და ესპანეთში (100 000). მათი წილი დასაქმებულთა საერთო რიცხვში მერყეობდა 0.1%-დან რუმინეთში, 1.5%-მდე ფინეთსა და შვედეთში.

2007/2008 აკადემიური წლის განმავლობაში 725 000 სტუდენტი (საერთო რიცხვის 3.8%) სწავლობდა ხელოვნებას (მუსიკა, დიზაინი, ხელსაქმეობა, აუდიოვიდეო ხელოვნება და სხვა). აქედან ყველაზე დიდი რიცხვი იყო დიდ ბრიტანეთში (6.8%), ირლანდიაში (6.6%), ფინეთსა (5.6%) და კვიპროსში (5.5%).

2010 წელს ევროკავშირის იმპორტის 0.4% და ექსპორტის 0.6% იყო კულტურული დანიშნულების საქონელს (წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, CD დისკები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ხელოვნების ნიმუშები და სხვ.). ექსპორტის ამ საერთო რიცხვში „კულტურული“ საქონლის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ჰქონდა დიდ ბრიტანეთს (1.8%), ესტონეთს (0.7%), საფრანგეთს (0.6%), კვიპროსს (0.6%), ლატვიას (0.6%) და ავსტრიას (0.6%), ხოლო იმპორტში - ავსტრიას (0.9%), ირლანდიას (0.8%), დიდ ბრიტანეთს (0.8%), საბერძნეთსა (0.7%) და კვიპროსს (0.7%). 2010 წელს კულტურული დანიშნულების საქონლისა და სერვისის (მუზეუმები, კონცერტები, კინო, თეატრები და ა.შ) ფასი გაიზარდა 13.3%-ით, ხოლო წიგნების - 6.5%-ით.

მონაცემები კულტურათა შორის კონტაქტების სფეროში ცხადყოფენ, რომ 2007 წელს 15 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა 27%-მა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სამჯერ მაინც იმოგზაურა საზღვარგარეთ, 37%-ს ჰყავს სხვა ქვეყანაში მცხოვრები ოჯახის წევრები, 19% უყურებს ტელევიზორს უცხო ენაზე, 9% კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და 7% -წიგნებს უცხო ენაზე.

ევრო ბაირაღა

განვაგრძობთ დაიჯესტის წინა ნომრებში დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

ოქსფორდის უნივერსიტეტის დიპლომატიური კურსები 2011–2012 სასწავლო წლისათვის

ოქსფორდის უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დიპლომატიური სწავლებების განხრით მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე საერთაშორისო სტუდენტებისთვის ექვსთვიანი კურსების გასავლელად, რომელთა ხანგრძლივობაც განისაზღვრება 2011 წლის 3 ოქტომბრიდან 2012 წლის 30 მარტის ჩათვლით.

მოცემული ექვსთვიანი პროგრამის სრული საფასური შეადგენს 13,325 ფუნტ სტერლინგს. პროგრამის მონაწილეებს დახმარება გაეწევათ ოქსფორდში საცხოვრებელი ადგილის შერჩევაში.

დაინტერესებულმა ანდიდატებმა შევსებულ სააპლიკაციო ფორმასთან ერთად ელექტრონულად უნდა გაგზავნონ:

- სარეკომენდაციო წერილი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლისაგან, რომლისთვისაც კარგადაა ცნობილი კანდიდატის წარსული აკადემიური საქმიანობა;
- დიპლომისა და აკადემიური მოსწრების დამადასტურებული დოკუმენტაციის ოფიციალურად დამოწმებული ასლები;
- ინგლისურ ენაში ჩაბარებული IELTS ან მასთან ოფიციალურად გათანაბრებული გამოცდების შედეგები;
- ან მასთან ოფიციალურად გათანაბრებული გამოცდის შედეგები;
- სამოტივაციო განცხადება;
- ორი ცალი საპასპორტო ზომის ფოტოსურათი

მათ ვინც ვერ ახერხებს ექვსკვირიანი კურსის გავლას შეუძლიათ გაიარონ ორკვირიანი (20 ივნისი — 1 ივლისი 2011 წელი) კურსი. კურსის საფასური შეადგენს 2550 ფუნტ სტერლინგს.

განცხადების გაგზავნი ბოლო ვადაა 2011 წლის 24 ივნისი.

დიდი ბრიტანეთის კენტის უნივერსიტეტის და გერმანიის მარბურგის უნივერსიტეტის სამაგისტრო სტიპენდიები მშვიდობისა და კონფლიქტის სწავლებების განხრით

დიდი ბრიტანეთის კენტის უნივერსიტეტი გერმანიის მარბურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით აცხადებს კონკურსს პოლიტიკის, სახელმწიფო მმართველობის, საერთაშორისო ურთიერთობათა, საერთაშორისო სწავლებათა და ევროპულ სწავლებათა მიმართულებებში მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელი საერთაშორისო სტუდენტებისთვის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მშვიდობისა და კონფლიქტების სწავლებების მიმართულებით. წარჩინებული სტუდენტებისთვის პროგრამა ითვალისწინებს სტიპენდიების გამოყოფას.

სწავლა იწარმოებს ინგლისურ ენაზე. კურსის პირველ სასწავლო წელს სტუდენტები გაივლიან კენტის უნივერსიტეტში, ხოლო მეორე წელს მარბურგის უნივერსიტეტში.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონულად უნდა გაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- სრულად შევსებული სააპლიკაციო ფორმა;
- პროგრამით გათვალისწინებულ მიმართულებებში ბაკალავრის დიპლომის დამოწმებული ორიგინალი ან ასლი ნიშნების ფურცელთან ერთად, გამონაკლის შემთხვევაში დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა უნდა გაგზავნონ განაცხადის წარდგენის მომენტისათვის გავლილ თითოეულ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებათა ამსახველი დოკუმენტაცია. ასლების გაგზავნის შემთხვევაში სტუდენტებს ორიგინალების წარდგენა მოუხდებათ რეგისტრაციის მომენტისათვის;
- ორი სარეკომენდაციო წერილი ინგლისურ ენაზე აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთაგან, წერილები ხელმოწერილი უნდა იყოს რეკომენდატორთა მიერ;
- ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (IELTS შეფასებით - 6.5 ქულა);
- კვლევითი ნაშრომის თეზისები;
- ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, რომელთა გაგზავნაც კანდიდატის აზრით გავლენას მოახდენს შესარჩევ პროცესში მისი კანდიდატურის განხილვისას.

განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 30 ივნისი.

დიდი ბრიტანეთის როჰანის ფონდის სამაგისტრო სტიპენდიები

დიდი ბრიტანეთის როჰანის ფონდი აცხადებს კონკურსს ბაკალავრის ხარისხის მფლობელი საერთაშორისო სტუდენტებისთვის ოქსფორდის ბრუკსის უნივერსიტეტში შემოქმედებითი წერის, ინგლისური ენისა ან ისტორიის მიმართულებების განხრით 2011—2012 სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული სამაგისტრო კურსის გასავლელად გამოყოფილი სტიპენდიის მოსაპოვებლად. სტიპენდიის სრული ოდენობა შეადგენს 5.000 ფუნტ სტერლინგს. სტიპენდია ერთწლიანია და არ მოიცავს საარსებო ხარჯებს. სტიპენდიის დანიშვნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ სტუდენტი უკვე იყოს ჩარიცხული ოქსფორდის ბრუკსის უნივერსიტეტში სრულ ან ნახევარგანაკვეთიანი სამაგისტრო კურსის გასავლელად პროგრამით გათვალისწინებულ მიმართულებებში.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონულად უნდა გაგზავნონ შევსებული სააპლიკაციო ფორმა თანდართულ რეზიუმესთან (CV) ერთად.

განაცხადის გაგზავნის ბოლო ვადაა 2011 წლის 1 ივლისი.

ზემოთ ჩამოთვლილი სასწავლო სტიპენდიების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი ვებგვერდი www.iliauni.edu.ge ან მიმართეთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ სერვის ცენტრს – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N32, ოთახი N219-220, ტელ.: (832) 29 47 11

euinfocentre@parliament.ge

FM 102.4 "ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად"

ყოველ შაბათს უსმინეთ გადაცემას **" ევროპის დროით ირინა სერსვაძესთან ერთად "** საქართველოს რადიოს პირველი არხი

კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის დაფინანსებით **"ევროპის დროით"** იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung

ნომერზე მუშაობდნენ: ირინა სერსვაძე, თეა ფარიელაშვილი, თამარ ჭელიძე, მარიკა კაჭარავა.

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ: www.parliament.ge/ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი